ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 5

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 28 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ბაგრატ მანველიძის სახით და მეორე მხრივ, **აიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის რამაზ ქვათაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის დაცული ვებსივრცის გამოყოფა ტექნიკური პირობების შესაბამისად (CPV-48200000).
1.2. ტექნიკური პირობები: ჯამური მოცულობა - 20 GB; @moecs.ge ელ-ფოსტის მისამართების რაოდენობა - 40 , დაც ვა ვირუსებისგან და სპამისგან; ელ-ფოსტის ონლაინ წვდომა (Webmail); IMAP/POP3 პროტოკოლების მხარდაჭერა (Outlook და სხვა); Mailing Lists და Email Forwarding შესაძლებლობა; ტექნიკური მხარდაჭერა და კონსულტაცია.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 840 (რვაას ორმოცი) ლარს.
2.2. ერთი თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულებაა 70 (სამოცდაათი) ლარი.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს უწყვეტად 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
3.3. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.
3.5. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.
3.6. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. N4.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთოთოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

5. გარანტია

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეა ვადაჭკორია.
6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლოს აღმოფხვრა.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
8.4. 8.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
11.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულებს მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13 . მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245427667

მიმწოდებელი:
ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო
კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა"
საქართველო, ქალაქი თბილისი
თ. ჭოველიძის ქ. N10
ს/კ 204931654
ს.ს. „თიბისი ბანკი"
მფო: TBCBGE22
ა/ა GE28 TB06 0000 0003 7005 07

მინისტრის პირველი მოადგილე
ბაგრატ მანველიძე

შემსყიდველი

აღმასრულებელი დირექტორი
რამაზ ქვათაძე

მიმწოდებელი